საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/2

ქ. ბათუმი

09 იანვარი 2018

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი"–ს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს მე-5 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის N01-08/37 ბრძანების, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2018 წლის 5 იანვრის MES 7 18 00006238 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის განისაზღვროს მობილობის ვადები:

1.1. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში გადმოყვანის წესით ჩარიცხვის (გარე მობილობის) მსურველთათვის:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2018 წლის 7,8,9,12 თებერვლის ჩათვლით;

ბ) კრედიტების აღიარება - 2018 წლის 13 თებერვალი.

გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე მსურველთა თანხმობის განცხადებების მიღება - 2018 წლის 13,14 თებერვლის ჩათვლით;

დ) ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნა - 2018 წლის 15 თებერვალი.

1.2 ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობის) და სტატუსშეჩერებული/სტატუსშეწყვეტილი პირის სტატუსის აღდგენის (შემდგომში - აღდგენა) მსურველთათვის:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2018 წლის 12, 13, 14 თებერვლის ჩათვლით;

ბ) კრედიტების აღიარება - 2018 წლის 15 თებერვალი:

გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე თანხმობის განცხადებების მიღება - 2018 წლის 15, 16 თებერვლის ჩათვლით;

დ) ჩარიცხვის ბრძანების მომზადება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნა - 2018 წლის 19 თებერვალი;

2. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს მობილობის პროცესის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით წარმართვა და კოორდინირება.

3. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება.

5. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში